კონფლიქტოლოგიური კვლევები უცხოეთსა და საქართველოში

ნინო წერეთელი

თანამედროვე კონფლიქტის თეორიის შემუშავებამდე ამ თეორიის აქტუალიზაცია სტრუქტურულმა ფუნქციონალიზმა მოახდინა. იგი საზოგადოებას განიხილავს როგორც ობიექტურ რეალობას, რომელიც შედგება ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთმანეთზე დამოკიდებულ ნაწილებისაგან, რომლებიც საზოგადოების განვითარებაში სახვადასხვა ფუნქციებს ასრულებენ. მათი განვითარება და ფუნქციონირება შეიძლება აიხსნას მხოლოდ „შიგნიდან" ისტორიულ-შედარებითი მეთოდის საშუალებით. (თავად სტრუქტურულ ფუნქციონალიზმს საფუძველი ჩაეყარა ფუნქციონალიზმმა. ეს ტერმინი პირველად იხმარეს ინგლსელმა გ. სპენსერმა და ფრანგმა ო. კონტმა, მის განვითარებას დიდი ღვაწლი დასდეს ე. დიურგჰეიმმა, ა. რადკლიფ-ბრაუნმა, ბ. მალინივსკიმ, ე. ვანს-პრიტჩადმა, თავად სტრუქტურულ ფუნქციონალიზმს კი რ. მერტონმა და სხვა [2,21].

თავად კონფლიქტის თეორიის შემუშავებას სათავე დაუდო ლუის კოზერმა ნაშრომით „სოციალური კონფლიქტის ფუნქცია", რომელშიც იგი წესრიგს და კონფლიქტს განიხილავს როგორც ორ თანასწორ სოციალურ პროცესს [1]. ლ. კოზერი განსაკუთრებით ეყრდნობოდა გერმანელი სოციოლოგისა და კულტუროლოგის გ. ზიმელის კონცეპციას, რომ კონფლიქტი, როგორც შედეგი, არამედ ორივე – როგორც პოზიციური, ასევე – ნეგატიური [1]. სწორედ ამაში მდგომარეობდა გ. ზიმელის დამსახურება, რასაც სხვები უარყოფდნენ. ზიმელმა საფუძველი ჩაუყარა ე.წ. კონფლიქტურ ფუნქციონალიზმს. დიდი მნიშვნელობა აქვს მის დასკვნებს სისტემის შიდა სტრუქტურაზე კონფლიქტის ზემოქმედების შესახებ. მისი აზრით, ექსტრემალურ სიტუაციაში (მაგ. ომის დროს) ძლიერება ტენდენცია ცენტრალიზაციისაკენ დესპოტური რეჟიმების დამყარების ჩათვლითაც კი. გ. ზიმელის მნიშვნელოვან წვლილ კონფლიქტის თეორიაში წარმოადგენს მესამე მხარის ჩართულობა, რაც კოალიციის ფორმირების პროცესების, ჯგუფური სოლიდარობის განვითარების, რთული სოციალური ურთიერთქმედების კვლევის საშუალებას იძლევა.

გერმანელმა სოციოლოგებმა, რომელბმაც თავის თავზე გამოსცადეს ფაშიზმი და ნაციზმი და, რომელბიც ვისკონტის უნივერსიტეტში დამკვიდრდნენ, აღმოსავლეთ ევრაზიაში მიმდინარე კონფლიქტური პროცესები ნორმიდან გადახვევად კი არ ჩათვალეს, არამედ სოციალური ცხოვრების რიგით პერიოდად. ამ მიმდინარეობის ერთ-ერთი წარმომადგენელი რალფ დარენდორფი ამტკიცებდა, რომ კონფლიქტი არის საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველი. რ. დარენდორფმა გაანალიზა კონფლიქტების წარმოშობის პირობები, ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავს მათ სიმწვავეს, გადაწყვეტის გზებსა და რეგულირებას, რეალურ და შესაძლო შედეგებს, მისი კონცეპციის თანახმად კონფლიქტური ურთიერთქმედებას ფართო საზღვრები გააჩნია. ამასთან მკვლევარი თვლის, რომ კონფლიქტებისა და საზაგოებაში ცვლილებების ძირითად მიზეზს წარმოადგენს ძალაუფლება და ავტორიტეტი. ის თვლის, რომ მცდელობები სოციალური ანტაგონიზმის მიზეზების ლიკვიდაციისთვის უსარგებლოა და უშვებს შესაბამისი ზომების მიღების შემთხვევაში კონფლიქტის დინამიკის ცვლილებაზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობას. იგი კრიტიკულად მიუდგა მარქსისა და ვებერის ინტერპრეტაციას და ომის შემდგომი საზოგადოების განსაკუთრებული პირობების გამო იქ შეუძლებლად მიიჩნია მარქსისტული ინტერპრეტაცია. მან კლასების კონფლიქტი განიხილა როგორც ჯგუფის, ან საერთოდ კერძო შემთხვევა, რადგანაც, მისი აზრით, კლასი ზოგადად ყალიბდება არა წარმოების ან საკუთრების ფენომენის გავლენით, არამედ განაწილებისა და გაბატონების გამო რ. დარენდორფისათვის სამყაროს სოციალური სურათი არის ბრძოლის ველი.

ჯგუფები ქმნიან ალიანსებს და ერთმანეთთან ბრძოლით კიდეც ანგრევენ მათ. ობიექტური ინტერესები სამყაროში წარმოქმნის პოტენციურ კონფლიქტურ ჯგუფებს, რომელბსაც ის კვაზი-ჯგუფი შეიძლება გახდეს კონფლიქტური. იგივე პირობები სხვა ჯგუფთან განსხვავებულ ფორმებს გვაძლევს და განაპირობებს კონფლიქტის შედეგებს.

ცნობილი გერმანელი მეცნიერის მაქს ვებერის აზრით კონფლიქტი საზოგადოებრივი ცხოვრების ნაწილია და არ შეიძლება ამ სფეროდან მისი გამორიცხვა: „სამყარო არის კონფლიქტის ფორმების ან კონფლიქტში მონაწილე დაპირისპირებული მხარეების ან კონფლიქტების მიზნების ან, უკიდურეს შემთხვევაში, არჩერვანის შესაძლებლობების ცვალებადობა".

ვებერმა ადამიანის სოციალურ მოქმედებათა (როცა ჩანაფიქრი შეეფარდება სხვა ადამიანების მოქმედებას და ორიენტაციაც მათკენ აქვს მიმართული) ოთხი ტიპი გამოიყო.

ა) მიზანრაციონალური

ბ) ღირებულებით – რაციონალური

გ) ეფექტური

დ) ტრადიციული

მან უფრო მაღალ კატეგორიაში გაიყვანა სოციალური მოქმედება ანუ ურთიერთორიენტირებული სოციალური მოქმედებების მყარი კავშირი, სოციალურ მოქმედებათა მაგალითებია ბრძოლა, მტრობა (მტრული განწყობა), სიყვარული, მეგობრობა, კონკურენცია, გაცვლა და ა.შ. [2,24].

ამერიკელი სოციოლოგი ტალკოტ პარსონსი ერთმანეთისაგან განასხვავებდა ბიოლოგიურ-ფიზიკურ და სოციალურ ქმედებებს. იგი თავის გამოკვლევებში უფრო მეტ ინტერესს იჩენდა სოციალური დარაზმულობის, ცვლილებების მიმართ, რადგან ამ დროს მეტია მუქარა. მეცნიერის ყურადღება მიპყრობილი იყო არა რაციონალური, არამედ არარაციონალური ინტერესების შეჯახებისაკენ, რადგან ამგვარ ინტერესთა დაპირისპირებისას შეუძლებელია მოლაპარაკება და სოციალური კონტაქტი. პარსონსი კონფლიქტს განიხილავდა, როგორც მოვლენას, რომელიც თავიდანვე იწვევს ნგრევას და არღვევს სისტემას და მის ფუნქციონირებას.

ტ. პარსონსის მიერ კონფლიქტის კვლევა ძირითადად ემყარებოდა რასისტულ და რელიგიურ წინააღმდეგობებს, ამიტომ კონფლიქტს მისთვის მხოლოდ უარყოფითი დატვირთვა აქვს და მას უფრო ხშირად უწოდებს „დაძაბულობას“.

ტ. პარსონსი კონფლიქტს მიიჩნევდა დამანგრეველ, მხოლოდ დესტრუქციული თვისებების მქონე მოვლენად და საზოგადოების განვითარების პროცესში ავადმყოფობას ისეთ ენდემურ ფორმად, რომლის თავიდან აცილება ძალიან რთულია. მას ეკუთვნის „სოციალური წესრიგის“ იდეა, რომლის მიხედვით კონფლიქტს სჯაბნის შეთანხმება. მან შეადგინა კონცეპტუალური სქემა, რომლის ბირთვს წარმოადგენდა პიროვნული დახასიათებით შენიღბული და კულტურით შემოფარგლული სოციალური სიტუაციების ურთიერთქმედების პროცესი.

ტ. პარსონსისაგან განსხვავებით, რომელიც კონფლიქტს თვლიდა მხოლოდ დესტრუქციულ მოვლენად, გ. ზიმელი ფიქრობდა, რომ „კონფლიქტი არის სოციალიზმის ერთ-ერთი ფორმა“, რაც იმას ნიშნავს, სოციალური ჯგუფი არ შეიძლება იყოს სავსებით ჰარმონიული. სხვაგვარად იგი მოკლებული იქნებოდა სტრუქტურასა და განვითარების პროცესს. ჯგუფისათვის დისჰარმონია ისეთივე აუცილებელია, როგორც ჰარმონია. ასოციაცია ისევე საჭიროა, როგორც დისოციაცია. ე.ი. კონფლიქტს არა აქვს მხოლოდ დამანგრეველი ფუნქცია. ჯგუფის ჩამოყალიბება ორივე ზემოაღნიშნული მოვლენის შედეგია. მოსაზრება, რომ ერთი პროცესი ანგრევს მეორეს, არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან ჯგუფში ურთიერთობების ჩამოყალიბებას ხელს უწყობს როორც „პოზიციური“, ისე „ნეგატიური“ ფაქტორები. კონფლიქტს, ისევე როგროც თანამშრომლობას, აქვს გარკვეული სოციალური ფუნქციები. ჯგუფში ამა თუ იმ ხარისხს კონფლიქტის არსებობა არ არის მაინცდამაინც დისფუქციონალური მოვლენა და იგი ჯგუფის ჩამოტალიებებისა და მისი ცხოვრებისუნარიანობის შენარჩუნების პროცესის მნიშვნელოვანი ელემენტია.

გ. ზიმელის აზრით კონფლიქტს შედეგი პოზიტიური ფუნქციები აქვს:

1. კონფლიქტი სოციალური სისტემებში ქმნის საზღვრებს ჯგუფებს შორის ჯგუფური ცხოვრებისა და თვითმყოფადობის გრძნობის გაძლიერების გზით და, აქედან გამომდინარე, აყალიბებს ჯგუფის ინდივიდუალობას სოციალური სისტემის შიგნით;

2. „ურთიერთგანზიდვები“ ხელს უწყობს სოციალური სისტემის შენარჩუნებას მის სხვადასხვა ჯგუფებს შორის წონასწორობის დამყარების გზით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ლ. კოზერი მრავალი ასპექტით იკვლევდა კონფლიქტის წარმოშობის პირობებსა და ფაქტორებს, ასევე მათ სიმწვავეს, ხანგრძლივობას, ფუნქციებსა და შედეგებს. მან ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო იმ ფუნდამენტალური საკითხების კვლევა, რომელბიც დაკავშირებული იყო კონფლიქტის სოციალურ დიაგნოსტიკასთან. იგი მოვიდა იმ დასკვნამდე, რომ კონფლიქტის აღიარება, როგორც სოციალური ურთიერთობების დამახასიათებელი განუყოფელი ნაწილია, არ ეწინააღმდეგება არსებული სოციალური სისტემისა და სიმტკიცის სტაბილურობის უზრუნველყოფას.

კოზერის აზრით კონფლიქტი, როგორც სოციალური პროცესი, შეიძლება იყოს სოციალური სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და სტანდარტიზაციის ხელმშეწყობი ინსტრუმენტი. კონფლიქტი ხელს უწყობს ჯგუფებს შორის საზღვრების დადგენასა და შენარჩუნებას, ჯგუფის იდენტურობის რეანიმაციას და იცავს მას ასიმილაციისაგან (ამითაა განპირობებული აფხაზთა მოქმედებები ბოლო წლების განმავლობაში).

გ. სორელის აზრით არსებობს მჭიდრო კავშირი კონფლიქტსა და ჯგუფურ დარაზმულობას შორის. იგი თვლიდა, რომ ჯგუფი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეინარჩუნებს თავის ინდივიდუალობასა და თვითმყოფადობას, თუ დაუპირისპირდება რომელიმე სხვა ჯგუფს. ეს ეხება არა მხოლოდ სოციალურ ფენებს, არამედ ეთნიკურ ჯგუფებსაც, რომლებიც დომინანტური ერის გარემოცვაში (მაგ. ჩეჩნები რუსეთში) არსებობენ.

სოციოლოგების აზრით განსხვავება ჯგუფებს შორის „ჩვენ“ - „ისინი“, იქმნება ეს ერთი ჯგუფის შიგნით თუ გარე ჯგუფებთან მიმართებით, მყარდება მხოლოდ კონფლიქტის დროს. ეს ეხება არა მხოლოდ

კლასობრივ კონფლიქტს, არამედ ეთნიკურსაც და პოლიტიკურსაც. ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ კონფლიქტი და მტრული გრძნობა არაა იდენტური ცნებები. კონფლიქტი თავს იჩენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს ორი ან მეტი პირის ურთიერთქმედებასთან. მტრული გძნობა და მტრული დამოკიდებულება არასი წინასწარგანწყობა, მიმართული კონფლიქტური ქცევის გამოვლენისაკენ, კონფლიქტი კი ყოველთვის ქმედებაა, რომელიც სცილდება გარკვეულ საზღვრებს, მტრული დამოკიდებულების კონფლიქტში გადაზრდას განსაზღვრავს ის, თუ რამდენად კანონიერად ან არაკანონიერად არის უფლებები განაწილებული.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ერთი ჯგუფის კონფლიქტი სხვა ჯგუფთან ან ჯგუფებთან ხელს უწყობს კონკრეტული ჯგუფის თვითგამორკვევასა და თვითმყოფადობის შენარჩუნებას [2,30].

„კონფლიქტის თეორია“ რეალურად ჩამოყალიბდა 1961 წელს, როდესაც ლონდონში გამოვიდა იგნლისელი სოციოლოგის ჯონ რექსის ნაშრომი „სოციალური თეორიის ძირითადი პრობელემები“.

რექსი აკრიტიკებდა ტ. პარსონსის თეორიას ცალმხრივობის გამო და ცდილობდა შეექმნა საკუთარი, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა საპირისპირო მხარის, მოდელი, სადაც მოქმედება ინსტრუმენტულია, წესრიგი-ძალადობითი, ურთიერთობა – კონფლიქტური. სრული ინტეგრაციის არარსებობა ჯ. რექსისათვის არის არა „უწესრიგობის“, არამედ საზოგადოების ორ ან მეტ კონფლიქტური მისწრაფებების მქონე ჯგუფად დაყოფის მაჩვენებელი. მისი აზრით ნებისმიერი სოციალური სისტემა შეიძლება აღმოჩნდეს ისეთ ვითარებაში, როდესაც შეზღუდულია რესურსები. ამიტომ სისტემას უნდა ჰქონდეს მათი გადანაწილების მექანიზმი: რესურსების ეკონომიკური განაწილება სოციალური სისტემის სხვადასხვა უბნის სათანადო შესაძლებლობების გათვალისწინებით, ძალაუფლების განაწილება ეკონომიკური განაწილების სისტემაში ნებისმიერი დარღვევის თავიდან ასაცილებლად; ძალაუფლების განაწილების ლეგიტიმურობის დამცავი ღირებულებები და ბოლოს, - რელიგიური რწმენები და რიტუალები, როგორც ღირებულებითი დანიშნულების მკაცრი დაცვის პროდუქტი [2,33].

ამგვარად, ინტეგრაცია არის განმანაწილებელი პროცესების შედეგი. ადამიანებს შორის კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად ღირევულებების გარშემო გაერთიანება უკვე აღარ კმარა, აუცილებელი ხდება შეთანხმება სხვა მნიშვნელოვან საკითხებშიც. მაგრამ კონფლიქტი შეიძლება მაინც მოხდეს, დავუშვათ იმ მიზეზით, რომ მოცემულმა საზოგადოებამ არათანაბარი საშუალებები და წახალისებანი წარმოადგინოს.

ჯ. რექსის აზრით ნებისმიერი საზოგადოების ცხოვრებაში კონფლიქტს ეთმობა ცენტრალური ადგილი, წესრიგი კი ხაისათდება ერთ-ერთი მხარის გამარჯვების შედეგად მიღწერულ „დაზავების“ ნიშნებით. „წმინდა კონფლიქტური მოდელის“ აგების დროს იგი გამოყოფს შესაძლებლობათა განაწილების პროცესს, რომელსაც უპირატესობას ანიჭებს თავად შესაძლებლობებთან. რექსი უარყოფს საზოგადოების ერთიანი, მთლიანი კულტურის, როგორც არაფორმალური სოციალური კონტროლის საფუძვლის არსებობა. იგი სოციალურ ცვლილებებს აღწერს, როგორც ძალაუფლებისათვის კონფლიქტების სერიათა პროდუქტს იმ ცალკეულ ჯგუფებს შორის, რომლებიც მოკლებულნი არიან როგორც დიფერენცირებული სოციალური ინსტიტუტების, ასევე სულიერ – ღირებულებითი სისტემების კონტროლს.

სტაბილურობა რექსისათვის არის განუწყვეტელი კონფლიქტისა და მისი თანმხლები პროცესის – მაღალი ფენების მიერ დაბალი ფენების უკმაყოფილების დათრგუნვის შედეგი.

კონფლიქტის თეორიის განვითარების შემდგომ ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს თავად კონფლიქტს და მის როლს საზოგადოების განვითარების პროცესში და მის ცალკე დისციპლინად ჩამოყალიბებას შეეცადნენ. დაიწერა ისეთი მნიშვნელოვანი შრომები, როგორებიცაა ლ. კოზერის „სოციალური კონფლიქტის ფუნქცია“ და „კონფლიქტის სოციალური საფუძვლები“, კ. ბოულდინგის „კონფლიქტის ზოგადი თეორია“, რ. დარენდოფის „კლასები და კლასობრივი კონფლიქტები ინდუსტრიულ საზოგადოებაში“.

ფრანგმა სოციოლოგმა ა. ტურენმა ერთამენთისგან გამიჯნა ინტეგრაციისა და კონფლიქტის კონცეპციები, რასაც „სხვადასხვა სოციოლოგია“ უწოდა. ერთ-ერთი მათგანი აერთიანებს დისციპლინებს, გამიზნულს „სოციალური წესრიგისთვის“, ე.ი. ინსტიტუტებისა და ურთიერთობათა იმ ერთობლიობისათვის, რომელიც უზრუნველყოფს მოცემული სისტემის სტაბილურობას. მეორეა „მოქმედების სოციოლოგია“, რომელიც, პირველ რიგში დაინტერესებულია ცვლილებებით და მოქმედებებს განიხილავს, როგორც კონფლიქტის ჯაჭვს.

ა. ტურენის აზრით ნებისმიერი სოციალური პროცესი სხვა არაფერია, თუ არა სხვადასხვა რანგის და დონის სოციალური სტრუქტურათა შორის კონფლიქტების სისტემა.

მკვლევართა უმრავლესობა კონფლიქტოლოგიის კლასიკოსად მიიჩნევს ამერიკელ სოციოლოგსა და

ეკონომისტს კ. ბოულდინგს. იგი ცდილობდა რა შექმნა კონფლიქტის ერთიანი თეორია, მის ჩარჩოებში აღწერს ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების ყველა გამოვლინებას. ცნება „კონფლიქტი“ მის მიერ ფართოდ გამოიყენება ფიზიკური, ბიოლოგიური და სოციალური მოვლენების ანალიზისას. კ. ბოულდინგის აზრით არაცოცხალ ბუნებაშიც კი მრავლადაა სხვადასხვაგვარი კონფლიქტები. იგი ამასთანავე აღნიშნავს კონფლიქტებში პოზიტიური ფუნქციების არსებობას. მისი თვალთახედვით გამარჯვება კონფლიქტში ხშირად დაკავშირებულია დამარცხების რეაქციებთან. ასე მაგალითად, საფრანგეთი – პრუსიის ომში (1870-1871) დამარცხების შემდეგ საფრანგეთი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში განიცდიდა აღმავლობის ფერწერაში, მუსიკაში, ლიტერატურაში, ხოლო გამარჯვებული პრუსია (გერმანია), მიუხედავად ეკონომიკური განვითარებისა, განიცდიდა კულტურულ სტაგნაციას.

კონფლიქტების თანამედროვე აღიარებული მკვლევარი, ამერიკელი დიპლომატი და პოლიტოლოგი დ, ბერტონი მიიჩნევს, რომ დიდი ხნის განმავლობაში აკადემიური კვლევები კონფლიქტოლოგიაში შემოიფარგლებოდა „ახსნითი“ კონცეფციების შექმნით და კონფლიქტური სიტუაციების საწყისების ძიებით. თანამედროვე ვითარებაში კი მკვეთრად გაიზარდა ინტერესი სხვადასხვაგვარი კონფლიქტების პრევენციის მეთოდებისა და მათი ანალიტიკური გადაწყვეტის მიმართ. ბერტონის აზრით თანამედროვე პირობებში მოგვარების ძირითადი ამოცანა მდგომარეობს კონფლიქტების თეორიისა და ტექნოლოგიის შემქნაში. ამისათვის საჭიროა კონფლიქტის ფენომენის ერთიანი გააზრება და გაგებაა. აუცილებელია გარკვეული სინთეზი ცოდნის სხვადასხვა დარგებს შორის. ადამიანური ურთიერთობების ანალიზისათვის ლოგიკურ საფუძვლად მკლევარები მიიჩნევს უნივერსალურ ადამიანურ მოთხოვნილებებს. პიროვნებები, სოციალური ჯგუფები, ასევე სხვადასხვა ერთეულები განისაზღვრება მის მიერ როგორც აქტიური სუბიექტები, რომლებიც აკონტროლებენ გარკვეულ სოციალურ გარემოს გარკვეული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების აუცილებლობის მიზნით.

კონფლიქტი და ძალადობა უფრო ხშირად სოციალურ პრობლემათა სპეციფიკური სიმპტომებია. სოციალური კონფლიქტები ახასიათებს ნებისმიერ საზოგადოებას. კონფლიქტში მონაწილე სოციალური ჯგუფები იბრძვიან მატერიალური და სულიერი სიმდიდრის, ძალაუფლების მოპოვებისა და ინტერესთა და პრეტენზიათა რეალიზაციისათვის. კონფლიქტები ყოველთვის წარმოიქმნება და ერთი საზოგადოება მერიისაგან მასში კონფლიქტის არსებობა არაარსებობით კი არ განსხვავდება, არამედ მის მიმართ დამოკიდებულებით. სწორედ ეს განსაზღვრავს კონფლიქტთა რეგულირების ისეთი რაციონალური მეთოდების არსებობას, რომლებიც მინიმუმადე შეამცირებს კონფლიქტებისაგან მომდინარე საშიშროებას (ლ. კოზერი). თანამედროვე კონფლიქტოლოგები (მაგ. მორტონ დოიჩი) თავიანთი კვლევის საგნად იმ პირობების ძიებას მიიჩნევენ, რომელიც კონფლიქტებს მათი უკიდურესი, საშიში ფორმიდან თუნდაც ცხარე, მაგრამ მაინც კამათის სახემდე დაიყვანოს [2,41-42].

ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგის ზბიგნევ ბჟენზინსკის აზრით კლობალური უწესრიგობისა და კონფლიქტების დაძლევა დაკავშირებულია მყარი დემოკრატიული ალიანსების შექმნის აუცილებლობასთან, საოზგადოების მიერ ეროვნულ და გლობალურ უსაფრთხოებას შორის ურთიერთსასარგებლო და მუდმივად გამყარებისაკენ მიმართული პარტნიორობა. ამასთან იგი ხაზს უსვამს იმას, რომ დემოკრატიის ფანატურმა წინსვლამ ისტორიული და კულტურული ტრადიციების გათვალისწინების გარეშე, შეიძლება დემოკრატიის უარყოფამდე მიგვიყვანოს. (დღეს დემოკრატიის – როგორც მართვის და ფასეულებების სისტემის თავსმოხვევა ხდება გარედან მრავალ ქვეყანაში, სადაც ამისათვის არავითარი პირობები არაა. ამიტომაა, რომ ყველა ავტორიტარი მმართველი და ტირანი დღეს „დემოკრატიას აშენებს“).

ბჟენისკის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკა ჯერ კიდევ არის გლობალური ზესახელმწიფო, ის დგას უცნაური პარადოქსის წინაშე, ამერიკელებისათვის უფრო მეტია საფრთხე, რომელიც მომდინარეობს შედარებით სუსტი (ირანი, ჩრდილო კორეა, ავღანეთი, ერაყი) სახელმწიფოებისაგან და სტრუქტურებისაგან. ის ფაქტი, რომ ამერიკას აქვს უდიდესი პოლიტიკური გავლენა, აქცევს მას შურის და ზიზღის ობიექტად. ასეთი ანტაგონისტური დამოკიდებულება შეიძლება შეგნებულად იყოს გაღვივებული ამერიკის მოიწნააღმდეგეებისაგან, რაც არსებითად მოქმედებს უსაფრთხოებაზე და ხელს უწყობს სხვადასხვაგვარი კონფლიქტების გაღვივებას. ამასთან დაკავშირებით ყურადღების ცენტრში ექცევა საზოგადოების თვითგადარჩენის უნარი მასობრივი განადგურებების საშუალებების გარდაუვალი გავრცელები, მსოფლიოში მუდმივი მღელვარებისა და ტერორიზმის მიმართ ზრდიდა შიშის პირობებში. იგი მიიჩნევს, რომ ფუნდამენტალური სრომელიც ემუქრება მთლიანად სამყაროს, მდგომარეობს გლობალურ პოლიტიკურ არეულობაში,

რომელსაც თან ახლავს ძალადობა. ეს არეულობა გამოიხატება სხვადასხვა ფორმით, ხოლო მის გამწვავებასა და გაღრმავებას ხელს უწყობს სიღარიბე, სოციალური უსამართლობა, ეროვნული შუღლი, ტომობრივი დაპირისპირება, რელიგიური ფანატიზმი და ფუნდამენტალიზმი [1,20].

2012 წლის თებერვალში ნიუ-ორკში გაიმართა ზ. ბჟეზენსკის წიგნის „სტრატეგიული ხედვა: ამერიკა და გლობალური ძლიერების კრიზისი“ პრეზენტაცია.

პრეზენტაციის მიერ ბჟეზინსკიმ ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა რუსულ გაზეთს „კოსმოლოგსკაია პრავდა“. კორესპოდენტის კითხვაზე: „თქვენს წიგნში აპოკალიფსურ სურათს ხატავთ, რომლის მიხედვითაც ამერიკა ეკონომიკურ ვარდნასთან ერთად პოლიტიკურ უძლურებასა და სტრატეგიულ იზოლაციაშია, მაშინ, როცა ჩინეთი ისტორიულ ნახტომს აკეთებს“, -იგი პასუხობს: „მართლაც, თუ აშშ განაგრძობს დაქვეითებას საშიანო პოლიტიკაში და გაუაზრებელ საგარეო პოლიტიკას მიჰყვება, მისი დაისი გარდაუვალი. თუმცა საბოლოო ჯამში მოგებული ჩინეთი როდი აღმოჩნდება. გაიმარჯვებს ქაოსი. მსოფლიოში დეცენტრალიზაციის პროცესი მიმდიანრეობს. სიმძლავრე, ძალა, გავლენა გარდაუვალად ინაცვლებს დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. საჭირო გონივრული კომპრომისის მიღწევა, თუ ამას ვერ შეძლებთ, მსოფლიო ქაოსი გველის, რომლის იქით შეიძლება საკაცობრიო ცივილიზაციის დასასრულიც იყოს... მხედველობაში უნდა მივიღოთ გლობალური პოლიტიკური გამოღვიძების ფენომენიც. მანამდე არასოდეს ასე დიდ ხალხებს არ გამოუხატავთ საკუთარი პოლიტიკური თვითშეგნება და პოლიტიკური მისწრაფებები. ამან მსოფლიო რთულად სამართავი გახადა. დასავლეთის დომინირების ფენომენმა არსებობა შეწყვიტა... უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში აშშ-მა საგარეო პოლიტიკაში ზომიერების გრძნობა და მორიდება დაკარგა“. ირანთან დაკავშირებულ კითხვაზე „როგორია იმის შესაძლებლობა, რომ ამერიკამ უახლოეს ხანებში ირანის წინააღმდეგ ომი წამოიწყოს?“ - იგი პასუხობს: „ირანი სერიოზული პრობლემაა, რომლის გადასაწყვეტად ბრძნული მიდგომაა საჭირო. უბრალოდ, ომში ჩათრევა არაგონივრულია, განსაკუთრებით ავღანეთში და ერაყში ათწლიანი სამხედრო მოქმედებების მერე, რასაც ჯერ ბოლო არ უჩანს“, გასათვალისწინებელია, რომ ბირთვული იარაღის პოტენციური ფლობა წონადი მიზეზია, რის გამოც აშშ წინდახედული უნდა იყოს, სანამ ამ რეგიონში ომს წარმოიწყებს, ამგვარ ომებს გამარჯვებული არა ჰყავს. არ ღირს ილუზიების ტყვეობაში ყოფან“.

კომუნისტურ პერიოდში კონფლიქტების, განსაკუთრებით კი სოციალური, ეთნიკური და პოლიტიკური კონფლიქტების კვლევის ყურადღება ფაქტიურად არ ექცეოდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პირველად რუსეთში, მერე კი კონფლიქტური სიტუაციების მქონე ქვეყნებში – საქართველოში, აზერბაიჯანში, სომხეთში, მოლდოვაში დაიწყო კონფლიქტოლოგიური კვლევები. კონფლიქტური კვლევები საქართველოში, რუსეთთან შედარებით, უფრო გვიან დაიწყო. ამჟამად თბილისში ფუნქციონირებს კოფნლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრი, რომელიც რეგულარულად აწყობს დისკუსიებს, პრეზენტაციებს, აქვეყნებს მასალებს კონფლიქტების პრობლემატიკსათან დაკავშირებულ და მათი დროული მოგვარების გზების შესახებ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში წლების განმავლობაში ფუნქციონირებდა კონფლიქტოლოგიის საბაკალვრო და სამაგრისტრო პროგრამა (ამაჟამად ეს უკანასკნელი კვლავ აღდგა 2012 წლიდან). დღემდე ჩატარებულ კვლევებს შორის ყველაზე მნიშვნელოვან ნაშრომად შეიძლება ჩაითვალოს 2007 წელს სტუ გამომცემლობის მიერ რუსულად დასტამბული ა. ფრანგიშვილის და ს. პროკოპიევის ნაშრომი „კონფლიქტოლოგია“ (გადაწყვეტილებათა მიღების მხარდაჭერის კომპიუტერული მოდელები). [1]. ასევე მნიშვნელოვან გამოკვლევად უნდა ჩაითვალოს ლია მელიქიშვილის „კონფლიქტთა ანთროპოლოგია (ეთნიკური ასპექტები)“ (თბილის, 2006) [2]; კონფლიქტოლოგიის დისციპლინის სწავლებას და კვლევებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რევაზ ჯორბენაძის წიგნებმა: პოლიტიკური კონფლიქტების მართვა (სალექციო კურსი), თბ., 2001, „სკალირების მეთოდები“, თბ., 2000. ამ საქმეში ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართველმა მკველვარებმა გ. ხუციშვილმა, ნ. ხაზარაძემ, ი. კვესელავამ, ნ. ჯორჯიკიამ, შ. მალაშხიამ, მ. გურამიშვილმა, დ. პიპინაშვილმა, ვ. გურგენიძემ, ვ. შუბითიძემ, ზ. დავითაშვილმა, ჯ. გახოკიძემ, ჰ. კუპრაშვილმა, პ. ცინცაძემ, ე. გვენეტაძემ, ქ. ჯიჯეიშვილმა, თ. გრიგოლიამ, ნ. ზაალიშვილმა, მ. ამირგულაშვილმა, და სხვებმა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში კონფლიქტოლოგიის აქტუალურ საკითხებზე დაცული იქნა 2 სადოქტორო დისერტაცია (ლ. ტუღუში „საერთო ეკონომიკური ინტერესები, როგორც კონფლიქტის მოწესრიგების გზა“, თბ., სტუ, 2009, დ. ცუცქირიძე „კონფლიქტი პოლიტიკურ პროცესებში (საქართველოს მაგალითზე), თბ. 2011) (გამოყენებული ლიტერატურის სია იხილეთ დისერტაციის ბოლოში).

კონფლიქტური კვლევების გააქტიურებას ხელი შეუწყო 2008 წლის აგვისტოს რუსულ-ქართულმა სამხედრო კონფლიქტმა, რომელიც კინაღამ სერიოზული საერთაშორისო კონფლიქტში გადაიზარდა. სწორედ ომის შემდეგ გამოქვეყნდა რამდენიმე საინტერესო წიგნი და სტატია, მათ შორის ჟურნალ „საისტორიო ფესტივალებში".

სამეცნიერო კვლევები საქართველოში კონფლიქტოლოგიის სხვადასხვა მიმართულებებში სულ უფრო ინტენსიური ხდება, რაც სერიოზულ შედეგებამდე მიგვიყვანს და დასაბამს დაუდებს აფხაზეთსა და შიდა ქართლის (ცხინვალის რეგიონის) პრობლემების მოგვარებას და სამართლებრივ-პოლიტიკურ მშვიდობიან გადაწყვეტას.

Research conflict in Georgia and foreign countries

Nino Tsereteli

Summary

The article analyzes the idea of conflict, it's evolution at antropology reaseach. It reviews well-known authors A.Durgheim, A. Radklif-Braun, B. Malinisk, E. Vanspritchad, R. Merton, Marx Weber, G. Soler and others views, wich partly opposed each other, but otherwise enrich perfomances about conflict.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. А. И. Прангишвили, (В. Прокопьев, Конфликтология (компютерные модели поддержки принятия решений), Тбилиси, изд. ГТУ., 2007г .
2. ლიამელიქიშვილი, კონფლიქტისანთროპოლოგია (ეთნიკური ასპექტები), თბ., 2006.
3. Sumner W.G. War//wspa, 1964.
4. Glakman M. Castom and Conflict in Africa. Oxford, 1955.
5. White L.A. The Science of Culture, NY., 1949.
6. Montagu M.F.A. The Nature of Human Aggression, NY. 1976.
7. კონფლიქტური სიტუაციები ეთნიკურ საზოგადოებაში, თბ., 1998
8. ზ. ბზეჟინსკი., "ამერიკამ საგარეო პოლიტიკაში ზომიერების გრძნობა დაკარგა," გაზეთი საქართველო და მსოფლიო. 22-28 თებერვალი 2012.